პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 22.09.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს ,,საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე, სხდომის მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
მარიკა შიოშვილი – რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერის პროექტის (UNDP) მენეჯერი;
ირაკლი პეტრიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ მახარაშვილი - დირექტორის მოადგილე;
კახაბერ ერაძე - „პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის" მენეჯერი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:
თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი;
ნინო ძაგანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის" წარმომადგენლები:
ბელა ავალიშვილი - დირექტორი;

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის" წარმომადგენლები:
კარლო კერვალიშვილი - დირექტორი;
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის“ წარმომადგენლები:
ნინო ბაკურაძე - დირექტორი;

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ წარმომადგენლები:
დარეჯან ფიფია - დირექტორი;

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მერმისის“წარმომადგენლები:
ნონა ღუდუშაური - დირექტორი;
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ეკა ლუაშვილი;
ნანა შარაბიძე;
მაია თოიძე;
ელენე გვენცაძე;
მარინა გოგოლაძე;
მაყვალა დარსანია;
ციური დურული;
ეკატერინე გიგაშვილი;
თამარ ვალიშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
დალი კალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:30 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს მდივნის არყოფნის გამო სხდომის მდივნის ფუნქცია განესაზღვრა საბჭოს წევრ მაია ჩიხლაძეს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მერმისის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ეკა ლუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით იმატებდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც ერთხელ უარი ეთქვა საბჭოს მიერ. ამჯერად ხარვეზები არ ყოფილა, თუმცა რეკომენდაციები გაეწიათ შრომის კონტრაქტებთან დაკავშირებით რათა დაცული ყოფილიყო შრომის კოდექსის მოთხოვნები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რა მდგომარეობა იყო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაფორმებული იყო სათანადო მემორანდუმები.

საბჭოს წევრი მაია ჩიხლაძე დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული გარემოთი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ A, B და C გარემო დაკმაყოფილებული იყო სტანდარტის მიხედვით და შესაძლებლობას იძლეოდა 2 ცვლაში მიეღოთ 30 სტუდენტი.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების თანახმად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავდა პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობას და განხორციელების ადგილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა თბილისსა და ქუთაისში, მასაჟისტ-რეაბილიტატორის პროგრამა განხორციელდებოდა თბილისში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	მასაჟისტ - რეაბილიტატორი	V	მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	155	30	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 49

2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნანა შარაბიძემ და მაია თოიძემ. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით, იმატებდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 3 პროფესიულ, მათ შორის მეცხოველეობის პროგრამას რომელიც განხორციელდებოდა ე.წ „დუალური“ მიდგომით რაც გულისხმობდა პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას საწარმოში. პროგრამა ხორციელდებოდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, პროგრამაზე ამ ეტაპზე 6 სტუდენტის მიღება იყო შესაძლებელი, პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე შემოდგომისა და გაზაფხულის მიღების გათვალისწინებით ჯამში 24 სტუდენტის მიღება იყო შესაძლებელი. პრაქტიკის ობიექტი იყო მეცხოველეობის ფერმა რომელთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი მემორანდუმი. მეცხოველეობის ფერმა კოლეჯიდან 20 წუთის სავალზე იყო. ასევე გაფორმებული იყო მემორანდუმები სასაკლაოსთან.

ელგუჯა მელაძე დაინტერესდა თუ ჰქონდათ ასეთ სასაკლაოებს შესაბამისი შემოწმება გავლილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ შესაბამისი სერთიფიკატები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ მეცხოველეობის (მესაქონლეობის) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ბუღალტერი	V	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	159	60	ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
2	მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური)	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეცხოველეობაში (მესაქონლეობაში)	93.5	24	ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	III	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	95	60	ქ. ახალციხე, რუსთაველის 106

3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ელენე გვენცაძემ და მარინა გოგოლაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით, იმატებდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას ყავდა ახალი ხელმძღვანელობა და მიმდინარეობდა პროგრამებისა და სტრატეგიული გეგმის გადახედვის პროცესი. ახალ პროგრამებთან დაკავშირებით გარკვეული მატერიალური რესურსი იყო გადაცემის პროცესში და დაწესებულებამ საბჭოზე წარმოადგინა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება მზად იყო განეხორციელებინა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ბუღალტერ-ტექნიკოსი	III	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	93	80	ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას 4
2	მღებავი	III	მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	96	40	ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას 4

5. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ეკატერინე გიგაშვილმა და თამარ ვალიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით, იმატებდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროგრამას საბჭოს მიერ ერთხელ უარი ეთქვა მატერიალური რესურსის სრულად არ ქონის გამო, დაწესებულებამ სრულად შეიძინა შესაბამისი მატერიალური რესურსი და ამ ეტაპზე აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებითა და ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ პირობებს და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა წელს საბჭომ უარის თქმით სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დაწესებულებას გაუჩინა სტიმული რომ ეზრუნა პირობების გაუმჯობესებაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადასთვის“ ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადასთვის“ დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას" მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	103	30	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის. 2
2	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	III	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	104	30	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის. 2

6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს შორენა ჯაფარიძემ და დალი კალაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით, იმატებდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ექსპერტებმა აღნიშნეს რომ სამაგალითო დაწესებულება იყო, შენიშვნები დასკვნაში არ იყო დაფიქსირებული და დაწესებულება ყოველმხრივ მზად იყო განეხორციელებინა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისს“ მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ტუროპერატორი	V	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	160	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72 ბ
2	ბუღალტერი	V	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	159	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72 ბ
3	ოფისის მენეჯერი	IV	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	146	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72 ბ
4	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	108	60	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72 ბ

5	თმის სტილისტი	III	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	92	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72 ბ

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე